სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/140

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე იმიტირებული სასამართლო დარბაზის მოწყობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს წარმოდგენილი წინადადება - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, იმიტირებული სასამართლო დარბაზის მოწყობის თაობაზე.
2. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (კარლო კოპალიანი), უზრუნველყოს სასამართლო დარბაზის მოწყობის ხელშეწყობის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**